«მამირვანის ლივა გურჯისტანის ვილაიეთში»

ნოდარ შენგელია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
თსუ-ის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის პროფესორი

დავთარი – „მამირვანის ლივა გურჯისტანის ვილაიეთში" – შედგება 123 სვეტისაგან. გამოცემის თარიღი უცნობია. მისი შიფრია 1035. დავთრის ზომაა 39×28 სმ. წყარო ძალიან საინტერესოა აღნიშნული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არაერთი საკითხის გასათვალისწინებლად.

დავთარი იწყება გურჯისტანის ვილაიეთის მამირვანის ლივის აღწერით. დავთარში მითითებულია მამირვანის ნაჰიეში შემავალი სოფლები: გიკანი, შექერდი, ოლურნუსი, არუსიდი, სუდქანისი, ხოჯა ალი ფიჰრი, ვართანუთი, სამალარი, თასქისური და სხვა. ჩამოთვლილია თითოეულ სოფელში მცხოვრებთა სახელები და მათზე გაწერილი გადასახადები და ვალდებულებანი.

დათვლილია ყველა სოფლის კომლთა რაოდენობა. სოფლებზე შეწერილი გადასახადების ოდენობა შეესაბამება კომლთა რაოდენობას.

ზოგიერთი სოფელი დასახელებულია, მაგრამ არ არის ნაჩვენები მოსახლეობის სია და არც ცალკეული გადასახადების ოდენობა. მითითებულია მხოლოდ გადასახადთა საერთო ჯამი. არის მოსახლეობისაგან ცარიელი სოფლები, მაგრამ მათზე გადასახადები მაინც არის შეწერილი.

შემდეგ საუბარია ახას ნაჰიეზე მამირვანის ლივაში, რომელშიც წარმოდგენილია შემდეგი სოფლები: თუდალენი, კარაღაჭი, ზემო ხურხური, აიდი, კონდახური, აშქელური და სხვა.

სოფელი ნახევარი ახა ახლოსაა ძველი ახას სათესველთან, კაზლი ბარუკთან, მდინარე კარლი ბარუკთან და ბაღლაკ დუთ თეფესთან. მასში გაერთიანებულია 73 კომლი. საკმაოდ დიდი სოფელია, ჩამოთვლილია ოსმალური გადასახადები, რაც ჩვეულებრივია თითქმის ყველა სოფლის მოსახლეობისათვის, მხოლოდ ერთია განსხვავებული, ესაა სარუხანეს გადასახადი, რომელიც აქამდე განხილულ ოსმალურ გადასახადებში არ იყო მითითებული.

სოფელ თუდალენში გაერთიანებულია მხოლოდ სამი კომლი, მასზე არაა შეწერილი ოსმალური გადასახადები. იგი იხდის მხოლოდ 5000 ახჩას. სოფელი კარა ღაქი კი იხდის ოსმალურ გადასახადებს. ამ სოფელში გაერთიანებულია 19 კომლი: სოფლის საერთო გადასახადია 10000 ახჩა.

სოფელი ზემო ხურხური იხდის ოსმალურ გადასახადებს. მასში გაერთიანებულია ექვსი კომლი, მიუხედავად კომლთა რაოდენობის სიმცირისა, მოსახლეობა მაინც იხდის ოსმალურ გადასახადებს. ამ სოფლის საერთო გადასახადია 4094 ახჩა.

ასეთივე მდგომარეობაა მომდევნო სოფელშიც. მისი სახელია შურმარი, რომლის კომლთა რაოდენობაა ხუთი. სოფელი იხდის ოსმალურ გადასახადებს. მთელი სოფლის საერთო გადასახადია 6000 ახჩა. სოფელ აიდის კომლთა რაოდენობაა 19, ისინი იხდიან, ჩვეულებრივ, ყველა საოსმალო გადასახადსა და ვალდებულებას. გარდა არსებული გადასახადებისა, ადგილობრივი მოსახლეობა იხდის აგრეთვე გადასახადებს წისქვილზე (გვ. 30). ჩიფთლიქზე უშრის სახით (გვ. 30).

შემდეგი სოფელია კონდახური, კომლთა რაოდენობა შეადგენს ოთხს. ოსმალური გადასახადებიც ჩვეულებრივია. ამ სოფელს მოსდევს სოფელი აშქელური, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს ექვსს. მოსახლეობა იხდის ყველა საოსმალო გადასახადს. შემდეგ ჩამოთვლილია ის სოფლები, რომლებზეც შეწერილია მხოლოდ ოსმალური გადასახადები. ცალკე არაა ნაჩვენები თითოეული გადა-

სახადის სახეობა. მხოლოდ ნაჩვენებია სოფლის სახელწოდება და რომელ რეგიონს ექვემდებარება ესა თუ ის სოფელი.

დავთრის მომდევნო გვერდებზე კვლავ მოსახლეობისაგან ცარიელ სოფლებზეა საუბარი, სადაც მკაცრადაა რეგლამენტებული გადასახადთა რაოდენობა (გვ. 34-40). მოსახლეობისაგან ცარიელი სოფელია 37. მითითებულია მხოლოდ გადასახადების საერთო ოდენობა, ხოლო თუ რამდენს იხდის მოსახლეობა, ეს არაა ცნობილი, რამდენადაც მოსახლეობა აქ არაა წარმოდგენილი.

თორთუმის ნაჰიეში წარმოდგენილია შემდეგი სოფლები: ჰარქნისის რაბათი, ფოჯნისი, სულდურეთი, ჩერბილი, მასრაქული, სუქურექი, კარნაუსი და სხვა. შემდეგი რეგიონია თორთუმის ნაჰიე. წარმოდგენილ სოფელთა შორის უპირველესია თორთუმის ჰაქნისის რაბათი, იგი ახლოსაა სათესველ ამრუჯთან, თორთუმის კილისთან, ხაჩაჩკურთან და ოთასთან. ამ სოფელში გაერთიანებულია 74 კომლი. სოფელი საკმაოდ ღონიერია. მასზე შეწერილია საერთოდ ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. ამ სოფლის საერთო გადასახადია 18000 ახჩა.

სოფელ ფოჯნისის მკვიდრთა რაოდენობა შეადგენს 76-ს. ესეც საკმაოდ დიდი სოფელი ჩანს. იგი ახლოსაა სათესველ ბასირნიქთან და ოსთანიშთან. სოფელი სულდურეთი ახლოსაა სათესველ მიკუს და სუფი იურდთან. მოსახლეობა 46 კომლისაგან შედგება. სოფელ ვანქში გაერთიანებულია სულ 20 კომლი, სოფელი დანქარი 13 კომლისაგან შედგება. აქვე ჩამოთვლილია ყველა ოსმალური გადასახადი, რომლის საერთო ჯამი შეადგენს 5000 ახჩას. აქვეა სოფელი ჩერბილი, რომლის კომლთა რაოდენობა 35-ს შეადგენს. სოფელ მასრაქულის კომლთა რაოდენობაა 6. სუქურექი 12 კომლიანია. სოფელი კარნაუსი მხოლოდ 9 კომლიანია. აქვე ფიქსირებულია ჩიფთლიქი, რომლის მფლობელი იხდის უშურს. ყველგან გადასახადები, ჩვეულებრივ, ოსმალურია.

აქვე წარმოდგენილია თორთუმის ლივის იჯარით გაცემული შემოსავლები. იჯარით გაცემულია თორთუმის ლივის მოსახლეო-

ბის ადგილები, რომლის ოდენობა შეადგენს 20000 ახჩას. დადგენილია ცხვრის გადასახადი, რომელიც აიღება სამეუფო ხასიდან. იგი შეადგენს სულ 15000 ახჩას.

ასევე დადგენილია გადასახადები შემოსავლებზე: შავ დამლაზე. ბაზრის ბაჟებზე, ცხენსა და ხარზე, ცხვარზე და ჯარიმები აგრეთვე ზომა-წონის ერთეულებზე, თორთუმის მოსახლეობის შემოსავლებზე. მისი რაოდენობაა 2000 ახჩა.

ნიხრით დადგენილია აგრეთვე გადახდა გადასახადისა: ბაზ სურჰებისა, განვრთნილი დათვებისა, ფირლანებისა და არწივებისა, რომელთა ოდენობა 500 ახჩაა.

ასევე გადასახადია შეწერილი იავასა და კაჩკუნზე. ამ სახის გადასახადს იხდიან 3000 ახჩას ოდენობით. ასევე შეწერილია გადასახადები ხსენებული ლივის ციხეებსა და სიფაჰიზადეებზე. მალი გაიფისა და მალი მეფკუდის სახით იხდიან 5000 ახჩას ოდენობით. ასევე შეწერილია გადასახადი მურახხასიე ჯიზია გაბრანი, თითოეულ კაცზე 2-2 ახჩა. სულ შეწერილია 5000 ახჩა.

არაა მივიწყებული გადასახადები სამლებროების თაობაზე. მისი ოდენობა 2000 ახჩაა. არც ფოცხვერის ტყავზე არსებული შემოსავლის გადასახადია უგულებელყოფილი. მისი გადასახადია 1000 ახჩა.

საერთოდ ამ საქალაქო და საბაზრო გადასახადების საერთო რაოდენობაა 58000 ახჩა. ჩანს, რომ ქალაქის მოსახლეობა დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადებზე დადებული ბაჟითა და სხვა ვალდებულებებით.

შემდეგ საუბარია ლასქავის ნაჰიეზე თორთუმის ლივაში. ლასქავის ნაჰიეში წარმოდგენილია სოფლები: ზემო ლასქავი, ქვემო ლასქავი, ნიხახი, ბინჰადი, ოშქი ქავი, საკნაჯური, ბარი, ქეჯნითი, ეგრექი. პირველი სოფელი ზემო ლასქავი საკმაოდ დიდი ჩანს, მისი მოსახლეობა შეადგენს 90 კომლს. იგი ახლოსაა სათესველ ვანქთან. ადგილობრივი მოსახლეობა, ჩვეულებრივ, იხდის საოსმალო გადასახადებს.

სოფელი ქვემო ლასქავი ახლოსაა სათესველ კარა არსლანთან, მასში წარმოდგენილია 52 კომლი. მოსახლეობა იხდის ყველა ოსმალურ გადასახადსა და ვალდებულებას.

სოფელი ნიხახი ახლოსაა სათესველ გელსურისთან. კომლთა საერთო რაოდენობა შეადგენს 75-ს. გადასახადები ჩვეულებრივაა გაწერილი მოსახლეობაზე. გადასახადთა საერთო რაოდენობაა 15000 ახჩა.

სოფელი ბინჰადი ახლოსაა სათესველ გომარიქთან. სოფლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 15-ს. გადასახადები, ჩვეულებრივ, მხოლოდ ოსმალურია. სოფელ ბეშირ ქვანისში გაერთიანებულია 17 კომლი. მას მოსდევს სოფელი ოშქი ქავი, რომლის კომლთა რაოდენობაა 38. მოსახლეობა, ჩვეულებრივ, იხდის საოსმალო გადასახადებს. სულ 5000 ახჩას. აქვე ორი სოფელია წარმოდგენილი, რომლებიც ცარიელია მოსახლეობისაგან და არ იხდიან საოსმალო გადასახადებს, თუმცა მათ მაინც შენერილი აქვთ გადასახადთა საერთო რაოდენობა. პირველს – 3000 ახჩას ოდენობით, მეორეს კი – 1600 ახჩა.

დავთრის მომდევნო მე-60 და 61-ე გვერდებზე რამდენიმე სოფელია მითითებული, რომლის მკვიდრთა რაოდენობა შეადგენს 12-ს, 15-ს, 18-ს, იხდიან, ჩვეულებრივ, ოსმალურ გადასახადებსა და ვალდებულებებს. აქ სიახლე არაა,. თითქმის ყველა მოსახლე იხდის ისფენჯის გადასახადს.

აქვეა ერთი სოფელი საკნაჯური, რომელიც ცარიელია მოსახლეობისაგან, მაინც მასზე შენერილია საერთო გადასახადი 7000 ახჩას ოდენობით. მისი სოფელი ხიზით ვურუქი წარმოდგენილია 46 კომლით, მას მოსდევს სოფელი ბაში, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 16-ს. გადასახადები, ჩვეულებრივ, ოსმალურია. მისი საერთო გადასახადია მთელი სოფლისათვის 9000 ახჩა. სოფელი ქეჯნითი იხდის მხოლოდ 3000 ახჩას. მას არ ევალება საოსმალო გადასახადების გადახდა, რადგან მასზე იგი არაა შენერილი. სოფელი ცარიელია მოსახლეობისაგან. შემდეგი სოფელია ეგრექი

რომელშიც წარმოდგენილია 92 კომლი, მათზე მთლიანადაა შენერილი ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. ეს სოფელი იხდის საერთო გადასახადს 22000 ახჩას ოდენობით.

შემდეგ იწყება ახჩერექის ნაჰიე თორთუმის ლივაში. მასში წარმოდგენილია სოფლები: ნისფი აჰჩერექ, ბაზგენჩური, ქირსენი, ახფურიქი, ჩაღრანისი, აი ქენაქი, ქოსა ქილისა, ნურსინი, ვარეშთირა, ზემო და ქვემო ქუქვანისები, არჯუნისი და სხვა.

პირველი სოფელია აჰჩერექი. ამ სოფელში წარმოდგენილია 35 კომლი. მთლიანად ეს სოფელი იხდის 9000 ახჩას. მომდევნო სოფელია ბაზგენჩური, კომლთა რაოდენობაა 47. გადასახადები, ჩვეულებრივ, ოსმალურია.

მომდევნო სოფელია ქირსენი, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 163-ს. აქვეა წარმოდგენილი ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. აქვეა გადასახადი შირაზე, რომლის გადახდა ემართათ ადგილობრივ მკვიდრთ. იგი გაწერილია 1000 მანის სახით. იგი თითოეულ კაცზე გაიწერებოდა 4-4 მანის სახით. სულ გადასახდელი იყო 4000 ახჩა. აქვეა მოხსენიებული გადასახადი ცხვარზე – 2 ახჩა. სულ გადასახდელია 750 ახჩა. აქვე ნახსენებია ვენახის ორი გადასახადი. ყოველ წელს გადაიხდებოდა 40 ოსმანი. ასევეა რეგისტრირებული ვენახი თორთუმის ციხის ქათიბის – ჰაჯი აჰმედის მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, მას მართებს გადაიხადოს ექვსი ქილიდან ერთ ნაკვეთზე წელიწადში 500 ახჩა. ამ დიდი სოფლის საერთო გადასახადია 20000 ახჩა /გვ. 72/.

მომდევნო სოფელია ახფურიქი, მასში წარმოდგენილია 32 კომლი. ამ სოფლის საერთო გადასახდელია 10000 ახჩა. მას მოსდევს სოფელი ქისმანისი, მასში გაერთიანებულია 14 კომლი. სოფელი საერთოდ იხდის 7000 ახჩას. სოფელ ჩაღრანისის კომლთა რაოდენობაა 63. იგი ახლოსაა სათესველ ვანქთან. ამ სოფლის საერთო გადასახდელია 7000 ახჩა. ადგილობრივ მოსახლეობაზე შეწერილია ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. ამ სოფელს მო-

სდევს სოფელი არჯუსი, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს შვიდს. მისი საერთო გადასახადია 4000 ახჩა.

სოფელ აიქენაქში წარმოდგენილია 47 კომლი. აქ ჩვეულებრივ-აა მოცემული ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. აქვე წარმოდგენილია ვენახი აბდალ აზაკისა წისქვილით, ზეთსახდელი ქარხნით, ერთი ნაკვეთი საიონჯე მიწით, მათზე დაკისრებული იყო ყოველწლიურად 40 ოსმანი. ამ სოფლის საერთო გადასახადია 7000 ახჩა.

სოფელ ქოსა ქილისას კომლთა რაოდენობა შეადგენს 39-ს, სოფელ ვასბიქასში წარმოდგენილია 26 კომლი. აქვეა ოსმალური გადასახადები, მთელი სოფლის საერთო გადასახადია – 8000 ახჩა.

სოფელი ჯაშუჯი აერთიანებს 8 კომლს. არის ოსმალური გადასახადები, მაგრამ აქვეა გადასახადი ღომზე. იგი მოხსენიებულია სხვა ოსმალურ გადასახადებთან ერთად. მთელი სოფლის საერთო გადასახადია – 7000 ახჩა.

დავთარში წარმოდგენილია სოფელი კანქიქი. იგი ახლოსაა სათესველ ვანქთან. ამ სოფლის გადასახადია 10000 ახჩა. მომდევნო სოფელია კინტირლი, რომელიც იხდის 2000 ახჩას. იგი ცარიელია მოსახლეობისაგან. მას მოსდევს სოფელი ნურსინი, სადაც წარმოდგენილია 41 კომლი. გადასახადები, ჩვეულებრივ, ოსმალურია. საერთო გადასახადია 8000 ახჩა.

შემდეგი სოფელია ვარეთ შირა, მასში 22 კომლია წარმოდგენილი. საერთო გადასახადია 4000 ახჩა. შემდეგ მითითებულია ზემო და ქვემო ქუქევანისების გადასახადთა თანხა. ზემო ქუქევანისი იხდის 3500 ახჩას. ქვემო კი – 2000 ახჩას.

შემდეგი სოფელია ნიხანანსი, იგი ცარიელია მოსახლეობისაგან, მაგრამ მასზე შეწერილია გადასახადი 1500 ახჩას ოდენობით. სოფელ არჯუნისში გაერთიანებულია შვიდი კომლი, მასზე შეწერილია გადასახადი 2000 ახჩას ოდენობით.

შემდეგ იწყება ხახოს ნაჰიე თორთუმის ლივაში. მასში წარმოდგენილია სოფლები: ნახევარი ხახო, ვანჯიქი, ონგუნექი, აბრუნისი, ანისი, ბარასური, კაღნუდი, სარბიფანი, ვირანკილი, აზვერეთი, ოფნეთი, ოთხთა, ვანქი ოში, ოშქი, ზენჯიქი, ხართიხა და სხვა.

პირველი სოფელია ნახევარი ხახო, მასში წარმოდგენილია 64 კომლი. ოსმალური გადასახადები აქ ჩვეულებრივაა წარმოდგენილი, მაგრამ არის პატარა ცვლილება, აქ მოტანილია შირას გადასახადი, რომელიც მანობით იზომება. სულ დაწესებულია 2200 მანი, თითოეულზე შეწერილია 4 – 4 მანი, სულ გადახდილია 8800 ახჩა.

აქვეა რამდენიმე მიწის ნაკვეთის მეპატრონე, რომელსაც ევალებოდა გარკვეული გადასახადის გადახდა. ასე მაგალითად, კორკმაზის ბაღს მართებს 25 ახჩის გაღება (გვ. 84). კიდევ ორი ნაკვეთი ვენახი თავხილისა და ფირზენდისა ახლოსაა ბაღთან, რომელიც ალი ბეგ ზულფიკარის ძის მფლობელობაშია, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, ყოველწლიურად თითოეულს უნდა ეხადა 40 ახჩა (გვ. 84).

შემდეგია სოფელი ვანჯიქი, იგი ახლოსაა სათესველ აგარაკთან და ოფსურთან. ამ სოფლის განკარგულებაში რეგისტრირებულია 88 კომლი. ამავე სოფელთან დაკავშირებულია მთელი სისტემა ოსმალური გადასახადებისა, რომელშიც რეგისტრირებულია აგრეთვე გადასახადი შირაზე. იგი იზომება მანობით, სოფელს მართებს გადაიხადოს 540 მანზე 4 – 4 ახჩა თითოეულზე. სულ გადასახადია 2160 ახჩა.

ჩამოთვლილი ოსმალური გადასახადების გვერდით დასახელებულია გადასახადები ვენახსა და საიონჯე მიწაზე. „ვენახი ზენათქარის, ერთი ნაკვეთი და საიონჯე მიწა კადირ კულის და თათარ ჰასანის მფლობელობაში, იმთავითვე თანახმად შარიათის ჰუჯეთისა დაწესებული იყო ყოველ წელს, თითოეულს გადაეხადა 25“., ანდა კიდევ: „ვენახი არგირისა ერთი ნაკვეთი, ვანის ძე თათარ ჰა-

სანის მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე დაწესდა, ყოველ წელს გადაიხადონ 25 ახჩა".

ჩანს, რომ ვენახების სხვადასხვა კატეგორიის მიწებზე ცალკეა დაწესებული გადასახადები. მთელი სოფლის საერთო გადასახადია 12000 ახჩა.

მომდევნო სოფელია ონგუზექი. ამ სოფლის ოსმალურ გადასახადთა შორის არის შირას გადასახადიც მითითებული. იგი ამ შემთხვევაში რეგისტრირებულია როგორც 450 მანი, თითოეულს გადაეხდება 4-4 ახჩა. გადახდილია 1800 ახჩა. აქვეა სათესველი მოხსენიებული, რომელიც ეკუთვნის სათმაზ ბირ ბასურის, მუშარისა და აღსათარას, მასზე შეწერილია გადასახადი 50000 ახჩას ოდენობით. აქვეა ინფორმაცია მირაქის მფლობელობაში მყოფი ვენახის თაობაზე. კერძოდ ნათქვამია: „ვენახი მირაქისა ორი ნაკვეთი იმამ ალი ჰასანის ძის მფლობელობაშია შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე დაწესდა, რომ ყოველწლიურად თითოეულს გადაეხადა 40 ახჩა" (გვ. 87).

მომდევნო სოფელია აბრუნისი. მასში რეგისტრირებულია 37 კომლი. არის ოსმალური გადასახადები. აქვეა შირაზე დაწესებული გადასახადებიც. იგი დადგენილია 100 მანის ოდენობით. მასზე დაწესებულია გადასახადი 4-4 ახჩა, სულ გადასახდელია 400 ახჩა. საერთო გადასახდელი თანხაა 8000 ახჩა.

მომდევნო სოფელია ქეჰუდი. მასში სხვა ოსმალურ გადასახადებთან ერთად წარმოდგენილია შირასა და ჯენავარის გადასახადები. შირას გადასახადია 50 მანი, თითოეულს 4-4 ახჩა, სულ 200 ახჩაა. ჯენავარის გადასახადია თითოეულზე თითო-თითო ახჩა. სულ გადასახადია 150 ახჩა. ამ სოფელში გაერთიანებულია 20 კომლი. საერთო გადასახდელი თანხაა 3000 ახჩა.

შემდეგი სოფელია ბარასური. მასში წარმოდგენილია 33 კომლი. ოსმალურ გადასახადებთან ერთად წარმოდგენილია გადასახადი შირაზეც. თითოეულს გადახდება 4 – 4 ახჩა, საერთო ღირებულებაა 740 ახჩა. აქვეა წარმოდგენილი გადასახადი ვენახზე.

„ვენახი ჰუნისა, რომელიც თან ერთვის ბაღჩას, ერთი ნაკვეთი, იგი იძლევა შემოსავალს ორს, იგი ალი ბეგ ზულფიკარ ზადეს მფლობელობაშია, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე იძლევა შემოსავალს. დადგენილია ყოველწლიურად 65 ახჩა". ამ სოფლის საერთო გადასახადია 10000 ახჩა.

ხსენებულ სოფელს მოსდევს სოფელი კალნუსი. მასში გაერთიანებულია 36 კომლი. ოსმალურ გადასახადებთან ერთად წარმოდგენილია აგრეთვე სოფლის საერთო გადასახადებიც. იგი შეადგენს 5000 ახჩას. ხსენებული სოფლის გაგრძელებაა სოფელი ოდაბეგი, რომლის კომლთა რაოდენობაა 50. ოსმალურ გადასახადებთან ერთად მოსახლეობა იხდის შირას გადასახადსაც, მათ ევალებათ, გადაიხადონ 350 მანის ღირებული შირა. თითოეული 5-5 ახჩა. საერთო ღირებულებაა 1750 ახჩა. ამ სოფლის მოსახლეობას ევალება აგრეთვე გადაიხადონ გადასახადი ვენახზე. „ვენახი ბასუსი 5, განთქმულია ვენახით, იგი ახლოსაა ხილის ერთ ნაკვეთთან, იგი გემალი ჩელების ძის მფლობელობაშია, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, ვალდებულია ყოველწლიურად გადაიხადოს 30 ახჩა. ამ სოფლის საერთო გადასახადია 29000 ახჩა.

მომდევნო სოფელია სარბიფანი, მასში 14 სოფელია წარმოდგენილი. ოსმალურ გადასახადებთან ერთად იხდიან შირასა და ჯესურის გადასახადებსაც. ჯესურის გადასახადია 10 ქილა. თითოეულს გადახდება 5 – 5 ახჩა. სულ გადასახადია 50 ახჩა. აქვე იხდის იგი შირას გადასახადსაც 240 მანზე. თითოეულზე 4-4 ახჩაა. სულ გადასახდელია 1122 ახჩა. მთელი სოფლის გადასახდელია 8000 ახჩა.

შემდეგი სოფელია ვირან კიღი, რომელშიც წარმოდგენილია 16 კომლი. ოსმალურ გადასახადებთან ერთად სოფელი იხდის საერთო გადასახადსაც 8000 ახჩას ოდენობით. ამ სოფელს მოსდევს ვიღავირი, აქვეა ერთი ჩაირი, რომელიც გურბასურის მფლობელობაშია და იხდის 1000 ახჩას.

შემდეგია სოფელი აზვერეთი, კომლთა რაოდენობაა 45. ამ სოფლის მოსახლეობა იხდის გადასახადს შირაზე 400 მანს. თითოეულს უნდა გადახდეს 5-5 ახჩა. სულ გადასახდელია 2000 ახჩა".

აქვეა გადასახადი ვენახზე. „ვენახი ჯურახანისა, ერთი ნაკვეთი, მუსტაფა იაკუთის ძის მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, დადგენილი იყო ყოველწლიურად გადაეხადა თითოეულს 35 ახჩა" (გვ. 95). სოფელი იხდის საერთო გადასახადს 15000 ახჩას ოდენობით.

შემდეგი სოფელია ოფნეთი, რომლის კომლთა რაოდენობაა 10. მოსახლეობა იხდის საოსმალო გადასახადთან ერთად შირას გადასახადსაც მანობით. იგი დადგენილია 250 მანის ოდენობით. თითო მანზე გადახდება 2 ახჩა. საერთოდ გადასახდელია 1000 ახჩა: აქვეა გადასახადი ვენახზეც. „ვენახი ოსქი ზამისა ერთი ნაკვეთი და ბაღი გაცემული საიონჯედ ერთი ნაკვეთი და ველი სამი ნაკვეთი ალი ბეგ ზულფიკარ ზადეს მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე დადგინდა ყოველწლიურად თითოეულს გადაეხადა 50 ახჩა" (გვ. 96).

შემდეგი სოფელია ოთხთა, მასში წარმოდგენილია 23 კომლი. აქვეა გადასახადი შირაზეც – 250 მანი, სულ გადასახდელია 1000 ახჩა. მთელი სოფელი იხდის 5000 ახჩას, ოსმალური გადასახადების გვერდით. აქვეა გადასახადი ვენახსა და საიონჯე მიწაზე. „ვენახი ერთი და ბაღი ორი, სულ ორი ცალი საიონჯე მიწა ერთი ნაკვეთი, შაჰ მეჰმედ ძე ალი ბეგის მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე დადგენილი იყო ყოველწლიურად თითოეულს გადაეხადა 600 ოსმანი. ხსენებული სოფელი იხდიდა აგრეთვე 5000 ახჩას ყოველწლიურად.

მომდევნო სოფელია იჯესი, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 16-ს. მოსახლეობა იხდის ყველა საოსმალო გადასახადს. იხდის აგრეთვე გადასახადს შირაზეც. აქვეა გადასახადი ვენახსა და ბაღზე, საიონჯე მიწაზე: „ვენახი თამ რურექისა და ბაღი ჯურისა ორი ნაკვეთი, საიონჯე მიწა ერთი ნაკვეთი და ბაღი ზულკაზარისა

ერთი ნაკვეთი, ახლოსაა სახლთან და ბოსტანთან, ალი ბეგ ზულ-ფიკარ ზადეს მფლობელობაში მყოფი, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე დადგენილი იყო ყოველწლიურად გადაეხადათ ოსმანიე 50" (გვ. 97). ამ სოფელს მართებს, გადაიხადოს გადასახადი 2500 ახჩას ოდენობით. შემდეგ საუბარია სოფელ ვანქი ოშქზე. აქ აღრიცხულია 36 კომლი. სრულადაა წარმოდგენილი ოსმალური გადასახადები და არის აგრეთვე გადასახადი შირაზეც. აქვეა გადასახადი ვენახზე, რომელიც ბუგნიჩის მფლობელობაშია. „მინა კი ელმაზო სუბეს შემოსავალია, იგი იძლევა უშურს 8" (გვ. 95).

შემდეგ სოფელ ოშქზეა საუბარი, რომლის კომლთა რაოდენობაა 51. მოსახლეობაც ამ შემთხვევაში იხდის შირას გადასახადს. აქვეა რამდენიმე მინაწერი ვენახისა და ბაღის შესახებ არსებულ გადასახადებზე. „ვენახი ფირან ზენდალის ძისა სამი ნაკვეთი, ახლოსაა იონჯიან ადგილთან, სახლთან და ველთან. მუსტაფა იაკუბის ძის მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, დადგენილი იყო ყოველწლიურად 40. ანდა კიდევ, „ვენახი ბიკნურისა, ერთი ნაკვეთი, სულეიმან ალი ბეგის ძის მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე დადგენილი იყო ყოველწლიურად 60". მთელი სოფლის საერთო გადასახდელია 18930 ახჩა.

შემდეგი სოფელია ზენჯიქი, მასში წარმოდგენილია 55 კომლი. აქვეა საუბარი ვენახსა და საიონჯე მიწის ნაკვეთზე. აქ ნათქვამია: „ვენახი სადუკუმისა და ზაზასი ორი ნაკვეთი, მინა იონჯასი და ველი ორი, ახლოსაა ბარაჯურის სახლთან, ალი ბეგ ზულკადირ-ზადეს მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე იყო დადგენილი. იგი ყოველწლიურად იძლევა 70 ახჩას. აქვეა წარმოდგენილი ყველა სახის ოსმალური გადასახადები. აქვეა გადასახადი შირაზეც. შირა მანობით გადასახდელია 600. სულ 3000 ახჩაა. ამ სოფელს მოსდევს სოფელი ოშქისური. მასში წარმოდგენილია 38 კომლი. აქვეა მინაწერი ვენახისა და იონჯას ველის თაობაზე. იქ ნათქვამია: „ვენახი სარდურის, ვენახი გურჯი თარლალისა და ვენახი სამსუნისა, სამი ნაკვეთი იონჯიანი, ერთი

ნაკვეთი და ველიანი სულეიმან ალი ბეგის ძის მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე იძლევა ყოველწლიურად თითოეულზე 100 ოსმანს" (გვ. 102). აქვეა შირაზე გადასახდელიც. იგი შეადგენს 800-ს. გადასახდელია 3200 ახჩა. მთელი სოფლის გადასახდელია 12000 ახჩა.

შემდეგი სოფელია ჰარისი, მასში ირიცხება 40 კომლი. აქ წარმოდგენილია ყველა ოსმალური გადასახადები. აქვეა გადასახადი შირასა და ხილზე, რომლებიც მანობით იზომება. მთელი სოფლის საერთო გადასახადია 6000 ახჩა. ასევეა სოფელი ლუხი, მასში გაერთიანებულია 25 კომლი. გარდა ოსმალური გადასახადებისა, არის აგრეთვე შირასა და ხილზე გადასახადები მანობით.

შემდეგი სოფელია თიო. აქ 41 კომლია გაერთიანებული. არის გადასახადები ჯანავარზე, შირასა და ხილზე. ჯანავარზე გადასახადი 60 ახჩაა. საერთო გადასახადია 5000 ახჩა.

მომდევნო სოფელია ხართიხა. აქ 27 კომლია ჩასახლებული. ოსმალურ გადასახადებთან ერთად წარმოდგენილია აგრეთვე შირასა და ხილზე გადასახადები მანობით დაანგარიშებული. სოფლის მოსახლეობა იხდის 8000 ახჩას.

შემდეგ საუბარია იშხანის ნაჰიეზე თორთუმის ლივაში. აქ არაერთი სოფელია წარმოდგენილი, სოფლები ცარიელია მოსახლეობისაგან, თუმცა თითოეულ მათგანს მაინც შეწერილი აქვს გარკვეული ოდენობა გადასახადებისა. ასეა 106-ე-109-ე გვერდებზე.

ნაშრომში შემდეგ საუბარია ლივანას ლივაზე, მასში შემავალ ფერთეგრექის ნაჰიეზე.

ფერთეგრექის ნაჰიეში წარმოდგენილი სოფლებია: ფერთეგრექი, ქენუნარი, ქინქიმი, არსისი, ნიხალი, ზემო ჩორღანისი, ჰავი, ვირჯიქური, ჯირაღანისი, ზაბიანისი, გუდაშინი, გერმანექი და სხვა.

პირველი სოფელია ფერთეგრექი. მასში წარმოდგენილია 10 კომლი. არის თითქმის ყველა საოსმალო გადასახადი. ასევეა რეგისტრირებული გადასახადები შირაზე, ხილსა და ბამბაზე, აქვეა

წარმოდგენილი გადასახადი ბაღსალა, სულ 10 ქილაა. თითოეულს 10, ღირებულება 100 ახჩა. ბამბის ღირებულებაა 100 მანია. თითოეულს 30-30 ახჩა გადახდება, საერთო ღირებულებაა 3000 ახჩა. ხილზე გადასახადია 200 მანზე. თითოეულის ღირებულებაა 3-3 ახჩა. საერთო ღირებულებაა 600 ახჩა. ასევეა შირაზეც. იგი 500 მანია. თითოეულის ღირებულებაა 2500 ახჩა.

სოფლის გადასახადთა საერთო ჯამია 15000 ახჩა.

შემდეგი სოფელია ქენუნარი. მასში სამი კომლია წარმოდგენილი. ამ სოფლის ოსმალურ გადასახადთა შორის არის გადასახადები შირაზე, ხილზე, ბამბაზე. მისი საერთო ჯამია 6000 ახჩა. ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა მომდევნო სოფელზეც. არის გადასახადები შირაზე, ხილსა და ბამბაზე. საერთო გადასახადია 8000 ახჩა. მომდევნო სოფელია ქისქიმი. კომლთა რაოდენობაა 65. ოსმალურ გადასახადებში არის გადასახადი შირაზე, ხილზე, ბამბაზე. არის მინაწერებიც.

შემდეგი სოფელია არსისი., კომლთა რაოდენობაა 73. არის გადასახადი შირაზე, ბამბაზე, ხილზე. არის მთლიანად წარმოდგენილი საოსმალო გადასახადები. საერთო გადასახადი სოფელზე შეწერილია 28000 ახჩა. ასევეა მომდევნო სოფელზეც.

სოფელი ნიხაკი კომლთა რაოდენობით შეადგენს 31-ს. ამ სოფელშიც იგივე მდგომარეობაა. წარმოდგენილია ყველა სახის ოსმალური გადასახადი. სოფელი იხდის გადასახადს 16000 ახჩას ოდენობით.

ზემო ჩურღანისის კომლთა რაოდენობა შეადგენს 40-ს. გადასახადები წარმოდგენილია სრულად. მოსახლეობა იხდის საერთო გადასახადს 15000 ახჩას ოდენობით. ამ სოფელს მოსდევს სოფელი ორბისაღი, მასში წარმოდგენილია 41 კომლი. ოსმალურ გადასახადთა შორის წარმოდგენილია შირას, ხილისა და ბამბის გადასახადებიც. აქვეა რამდენიმე ნაკვეთი ვენახისა, რომელიც დაბეგრილია გადასახადებით.

შემდეგი სოფელია ჰავი, მასში მხოლოდ ხუთი კომლია გაერთიანებული. ოსმალური გადასახადები სახეზეა. აქვეა გადასახადები: შირაზე, ხილსა და ბამბაზე შესაბამისი თანხის ოდენობით. ამ სოფლის საერთო გადასახადია 6000 ახჩა. მას მოსდევს სოფელი ვირქიჯური, რომლის კომლთა რაოდენობაა 15. ეს სოფელიც იხდის შირას და ხილის გადასახადს, არის ოსმალური გადასახადებიც. ამ სოფელზე შეწერილია 5000 ახჩა.

სოფელ ჯირალანის კომლთა რაოდენობაა 20. ამ სოფლის საერთო გადასახადია 5000 ახჩა. მას მოსდევს სოფელი ხაბბანისი, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 15-ს. აქ წარმოდგენილ ოსმალურ გადასახადებს შორის არის გადასახადები შირაზე, ხილზე, ბამბაზე და სხვა გადასახადები. ამ სოფელზე შეწერილია 6000 ახჩა.

შემდეგი სოფელია გუდდაშინი. კომლთა რაოდენობა შეადგენს 31-ს. ამ სოფელშიც, ოსმალურ გადასახადებთან ერთად წარმოდგენილია გადასახადი შირაზე, ბამბაზე, ხილზე. ამ სოფლის საერთო გადასახადია 8000 ახჩა. მორიგი სოფელია გერმანიქი, მასში 14 კომლია. აქ წარმოდგენილ გადასახადთა შორის არის გადასახადები, რომლებიც მანობით იზომება და მნიშვნელოვანია ოსმალურ საგადასახადო სისტემაში. ამ სოფელზე შეწერილი გადასახადი 5000 ახჩას შეადგენს.

ნაშრომის ბოლოს საუბარია ხსენებული ლივის იჯარით გაცემის თაობაზე. მოტანილია რაოდენობა ცხვრის გადასახადიდან – 10000 ახჩას ოდენობით. ასევე აღნიშნულია ფოცხვერის ტყავზე შეწერილი შემოსავალი 1000 ახჩას ოდენობით. ნაშრომში საუბარია ხსენებული ლივის იალაღებიდან და სამღებროებიდან შემოსულ შემოსავალზე 2000 ახჩას ოდენობით. ასევე საუბარია იავა და კაჩკუნიდან და ბეითალმალიდან და მალი გაიფიდან შემოსულ თანხებზე, იგი შეადგენს 3000 ახჩას. აქ მითითებულია მურახხასიე გაბრანზე – 2000 ახჩას ოდენობით. საუბარია აგრეთვე აშბანჰაი ბაზსურხზე და ბალაბანზე 500 ახჩას ოდენობით.

ასეთია ძალიან მოკლედ ხსენებული დავთრის არქიტექტონიკა. იგი ძალიან საინტერესო წყაროა აღნიშნული რეგიონის სოციალ-ურ-ეკონომიკური მდგომარეობის ბევრი საკითხის წარმოსაჩენად. დავთარი არანაკლებ საინტერესო წყაროა ოსმალური გადასახადე-ბისა და საგადასახადო სისტემის, მიწისმფლობელობის ფორმების, ისტორიული გეოგრაფიის, ონომასტიკის, ლინგვისტიკის და სხვა მრავალი საკითხის გასარკვევად.